

გრიგოლ ჩხიკვაძე ქართული ხალხური მრავალხმიანობის შესახებ

ქართული ხალხური მუსიკის შესახებ ქართველ მუსიკისმცოდნეთა ნაშრომებში ყველთვის პრიორიტეტული თემა იყო მრავალხმიანობა. ცხადია, ამ პრობლემას პროფესორი გრიგოლ ჩხიკვაძეც შეეხო და არაერთხელ. კერძოდ, იგი ამ საკითხზე შემდეგ თავის ნაშრომებში მსჯელობს (იხილეთ):

1. გრიგოლ ჩხიკვაძე. ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა. საქართველოს სსრ მუსიკალური ფონდი. თბილისი 1948.
2. ქართული ხალხური სიმღერა. რედაქტორ-შემდგენელი – გრ. ჩხიკვაძე. ტ. I სახელმწიფო გამომცემლობა `საბჭოთა საქართველო`, თბილისი 1960.
3. Г. З. Чхиквадзе. Основные типы грузинского народного многоголосья. «Наука». Москва, 1964
4. გრიგოლ ჩხიკვაძე. ქართული ხალხური ოთხხმიანობა, ხელნაწერი 1965-67
5. Г. Чхиквадзе. «Характерные черты грузинского многоголосия» ხელნაწერი 1976.
6. გრიგოლ ჩხიკვაძე. კრიმანჭული ქართულ ხალხურ სიმღერებში და მისი ნაირსახეობანი (ხელნაწერი. 1981-1982 წ.)

გრიგოლ ჩხიკვაძე ქართული ხალხური მრავალხმიანობის განხილვას სხვადასხვა ნაშრომში რამდენიმე მიმართულებით აწარმოებს. ესაა: მრავალხმიანობის წარმოშობისა და განვითარების პრობლემები (რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ერთხმიანობიდან ორხმიანობაზე და ორხმიანობიდან სამხმიანობაზე გადასვლის ეტაპებზე მსჯელობად); ქართული მრავალხმიანობის სტრუქტურული ფორმები; ქართული მრავალხმიანობის ორიგინალური ფორმებით გამორჩეული ნიმუშების მუსიკალური ენის ანალიზი, რაც საინტერესო ნიუანსებს აჩენს ისევედასევე მრავალხმიანი სტრუქტურის კვლევის ასპექტით.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ქართული მრავალხმიანობის ძირები და, საზოგადოდ, უძველესი ქართული მუსიკალური კულტურა ბატონი გრიგოლის სამეცნიერო ინტერესის ცენტრში იყო მოქცეული.

გრიგოლ ჩხიკვაძე, როგორც უმეტესობა ქართველი მუსიკისმცოდნეებისა, მიიჩნევს, რომ მრავალხმიანობის ფენომენი სტადიალურ მოვლენას წარმოადგენს ქართულ ფოლკლორულ სივრცეში. `... ესენი მჭერვმეტყველურად მოგვითხრობენ იმას, რომ ქართველი ხალხის წინაპრებმა ჯერ კიდევ წარმართულ ეპოქაში გამოიმუშავეს გარკვეული სამუსიკო ტრადიციები და მტკიცე მელიოდი-ჰარმონიული ფუძე, თუმცა პრიმიტიული, რომელთაც განვლეს რა ათეული საუკუნეები, გამდიდრდნენ ქართველი ერის მიერ მიღებული სამუსიკო პრაქტიკით და შექმნეს ხალხური სასიმღერო შემოქმედების მაღალმხატვრული ნიმუშები, რომლითაც ესოდენ მდიდარია ქართული მუსიკალური ფოლკლორი. ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა. გვ. 42.

სრულიად სამართლიანად გრიგოლ ჩხიკვაძე უძველეს ქართულ მუსიკალურ ჟანრებად მიიჩნევს შრომის, რიტუალურ, საფერხულო, სიმღერა-ტირილებს, მიცვალებულებისადმი მიმართვას, ამინდის ღვთაებისადმი მიმართვას, და ა.შ. გვ. 1 და აღნიშნავს, რომ სწორედ ორხმიანობაა მათი ამ ძირეული თვისების მთავარი საერთო ნიშანი. მკვლევარი აღნიშნავს ქალთა ორხმიან უძველეს სიმღერებს: `დიდებას`, `მზე შინას`, `იავ ნანას`, `ზარს`, როგორც წარმართული რწმენის უძველეს გადმონაშთს. გვ. 2

ასევე არქაული იერსახის მოვლენად აღიქვამს ბ-ნი გრიგოლი აჭარულ ორხმიანობას და იქვე ერთ საინტერესო დეტალსაც აღნიშნავს, კერძოდ: (აჭარულ ორხმიანობაში) ...პირველ ხმაში

ვხვდებით რეჩიტაციას, ხოლო ბანი ამ დროს, ზევითა ხმასთან შეფარდებით, იძლევა ხან ჰარმონიულ და ხან კონტრაპუნქტულ შეხამებებს. ქართული ხალხური ოთხხმიანობა გვ. 8

ქართული ხალხური მრავალხმიანობის განვითარების ეტაპები გრიგოლ ჩხიკვაძეს მეტად მკაფიოდ, კომპაქტურად და ლოგიკურად აქვს ჩამოყალიბებული ცნობილ ბროშურაში: Г. З. Чхиквадзе. Основные типы грузинского народного многоголосья. «Наука». Москва, 1964

შეიძლება ითქვას, რომ ამ სამსჯელო თემაზე ბ-ნი გრიგოლის ნაშრომთაგან სწორედ ეს ზემოხსენებული გამოირჩევა შესამჩნევად ქართულ მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში თავისი მნიშვნელობით. ძირითადი აქცენტი ამ ნაშრომში კეთდება ქართული მრავალხმიანობის ადრეული განვითარების ეტაპების დადგენა-განხილვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის ორხმიანობიდან სამხმიანობის წარმოშობის მექანიზმზე უკვე არსებობდა შ. ასლანიშვილის კაპიტალური ნაშრომი, გრიგოლ ჩხიკვაძე ორიგინალურ ნიუანსებს წარმოაჩენს ამგვარი გარდამავალი პროცესისა, განსაკუთრებით ეს ითქმის ერთხმიანობის ორხმიანობაში გადაზრდის მეთოდზე.

გრიგოლ ჩხიკვაძეს, მსგავსად ასლანიშვილისა, ქართული მრავალხმიანობის საწყისის კარგ ილუსტრაციად მიაჩნია ხევსურული სიმღერა `ხუთშაბათს გათენდება~. გვ. 1-2

იგი წერს: `... ის, ძირითადად ერთხმიანად ჟღერს, თუ არ გავითვალისწინებთ მეორე ხმის გამოთიშვამდე მცირე მანძილს, როდესაც წარმოიშვება ჯერ კიდევ გაუაზრებელი ორხმიანობა. მაგრამ ორი სხვადასხვა ხმის ასეთმა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შეხამებამ შემდგომში წარმოშვა ბურდონული ბანი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართული მრავალხმიანობის განვითარებაში... ~ გვ. 2

მეტად საინტერესოა აქვე ბ-ნი გრიგოლის მსჯელობა სიმღერა `ჰერიოს~ სხვადასხვა ვერსიების შესახებ, რომელიც გვიჩვენებს ანტიფონური ერთხმიანი სიმღერის ევოლუციის სხვადასხვა ეტაპებს, სწორედ ასეთი განვითარების ჯაჭვად მოიაზრებს მკვლევარი ამგვარ სხვადასხვა ვარიანტს:

მართლაც სიმღერა `ჰერიოს~ ამ ვერსიებში ორი ხმა სხვადასხვა პრინციპით ენაცვლება ერთმანეთს, კერძოდ: სოლისტი და უნისონური გუნდი, სადაც გუნდი მუსიკალურ ფრაზას არ ამთავრებს. მაგ 3 და სადაც ამთავრებს. მაგ 4 ; და სადაც აგრძელებს ხმოვანებას. მაგ 5. ბატონი გრიგოლის აზრით, ამ უკანასკნელში ორხმიანობაზე გადასვლის ის ეტაპია ასახული, სადაც სოლისტი შემდგომში აღარ წყვეტს მღერას და სწორედ ამის შედეგად წარმოიქმნება ორხმიანობა. გვ.3

ბატონი გრიგოლი ხაზს უსვამს ქართული ერთხმიანი სიმღერის გამრავალხმიანების ორ ვექტორს: ბურდონსა და ოსტინატოს:

`მომავალში ორხმიანი წყობის ეს ორი ძირითადი ტიპი (მელოდია ბურდონული ბანის თანხლებით და ბასო ოსტინატო) ქართული ორხმიანი სიმღერებში წამყვანი ხდება~. გვ. 4 ამ დასკვნით ბატონი გრიგოლი ეხმიანება თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიაში მიღებულ დებულებას, რომლის მიხედვითაც ხალხური ვოკალური მრავალხმიანობის უძველეს ფორმებად სწორედ ბურდონული და ოსტინატური მრავალხმიანობაა მიჩნეული.

ორხმიანობიდან სამხმიანობაზე გადასვლის შესაძლო მექანიზმზე საუბრისას ბატონი გრიგოლის აზრით, ერთ-ერთი მეთოდი კვლავ და კვლავ ორი ანტიფონური ხმის ვერტიკალში შეერთებაა. მისი აზრით, ორხმიანობის განვითარებულ სახეობას წარმოქმნის მთქმელისა და ორხმიანი გუნდის ისეთი მონაცვლეობა, რომლის დროსაც სოლისტებს განსხვავებული საქცევები გააჩნიათ. ასეთი ფორმა ორ- და სამხმიანობის ზღვარზე დგას. გვ. 4-5

არსებობს კიდევ ერთი ფორმა, რომელიც სცილდება ორხმიანობას, მაგრამ ჯერ ვერ ვითარდება სრულ სამხმიანობამდე. აქ სოლისტი მეორე სოლისტის შეპასუხებისას აგრძელებს ბანთან ერთად უნისონში ხმოვანებას.

სხვა მაგალითში ასეთი უნისონი ირღვევა. `სათამაშო` @8
დაბოლოს ყალიბდება სიმღერის სამხმიანი დასასრული, სადაც ორივე სოლისტის
პარტიაა გაერთიანებული: მაგ 9 გვ. 5

ადრეული სამხმიანობის წარმოშობის მეორე ეტაპია კიდურა ოქტავური ხმების ფონზე
შუაში მელოდიური ხმის მოძრაობა. რომ მოვხსნათ ზედა ხმა მივიღებთ ტიპიურ ორხმიან
სარიტუალო სიმღერას. გვ. 5

საბოლოოდ მკვლევარი ასკვნის:

`ქართული ხალხური მრავალხმიანობის შემდეგი ეტაპისათვის დამახასიათებელია
სამხმიანი წყობის ისეთი ფორმა, რომელიც წარმოიშვა, ერთი მხრივ, ორხმიანობის სხვადასხვა
შეხამების სახეობისაგან, რომელიც სამხმიანობამდე განვითარდა, ხოლო მეორე მხრივ –
ჰარმონიული ზედა ხმის გამოჩენით (მელოდიური ხმის ზემოთ) – ბანის პარტიის ოქტავით
ზევით გაორმაგებით.` გვ. 4

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე დებულება წარმოადგენს პროფესორ შ.
ასლანიშვილის მსგავსი დებულების ინტერპრეტაციას, რაც პირველწყაროსთან
განსაკუთრებულ ანალოგს ჰპოვებს ზედა ხმაში ბანის ოქტავური გაორმაგების წარმოჩენაში.

სამაგიეროდ, ყურადღებას იპყრობს გრიგოლ ჩხიკვაძის შემდეგი მიგნება: ორივე
აღნიშნულ მიმართულებაში სრული სამხმიანობის მისაღებად გამოიყენება ერთიდაიგივე
ხერხი – ეს ხდება კადანსებში. ზედა ხმა, რომელიც ბანის პარალელს წარმოადგენდა,
მელოდიურად ამოძრავდება სწორედ კადანსში. მაგ 11 გვ. 5

ბ-ნი გრიგოლი ქართული მრავალხმიანობის ევოლუციის ასახვას შემდეგი სხარტი
პასაჟით აგვირგვინებს: `სამხმიანობა საფუძველია ქართული ხალხური სიმღერისა,
ორხმიანობა – მისი განვლილი ეტაპი, ხოლო ნადურისთვის დამახასიათებელი ოთხხმიანობა –
მისი კერძო გამოვლინება.` გვ. 10

აქვე უნდა აღვნიშნოთ გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ მეცნიერული აზრის გადმოცემის ერთი
დამახასიათებელი შტრიხი: იგი დიდი პატივისცემით ეკიდება მასზე ადრე მოღვაწე თუ მისი
თანამედროვე მეცნიერების ნააზრევს და სამეცნიერო მიმოქცევაში მიღებულ ტერმინოლოგიასა
თუ დებულებებს, და თვითმიზნად არ აქვს ქცეული ახალი, ინოვაციური ტერმინოლოგიური
ძიებანი. თუმცა ამგვარი კოლეგიალური ტონი არ გამორიცხავს გრიგოლ ჩხიკვაძის პრინციპულ
დამოკიდებულებას იმ ცთომილებებისადმი, რაც შეიძლება დიდ ავტორიტეტებსაც მოემბნოთ.
მაგალითად, I ტომში გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ გაზიარებულია ხმების ი. ჯავახიშვილისეული
კლასიფიკაცია, მაგრამ აქვე კრიტიკაცაა მოცემული: მალალი ბანი უნდა ეწოდოს ზედა ხმას და
არა – შუას. გვ. XIII

ასეთივე პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულება აქვს გრიგოლ ჩხიკვაძეს
საველე ჩანაწერისადმი. ხევსურული სიმღერის `შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა` ერთგვარად
არეული შესრულების დახასიათებისას მკვლევარი, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს
ეთნოფორთა ფაქტორს, მაგრამ არ გამორიცხავს ჰეტეროფონიული შემოქმედებითი მეთოდის
მიზანმიმართულ გატარებასაც: `...რის გამოც ვღებულობთ ქართული ორხმიანი
სიმღერებისათვის ხმათა უჩვეულო შეფარდებებს და აქედან დამახასიათებელ საკადანსო
საქცევებს`. გვ XV

რაც შეეხება ქართული ხალხური მრავალხმიანობის ცალკეული ტიპების შესახებ
მსჯელობას, უნდა ითქვას, რომ ბატონ გრიგოლს ამ მხრივ არ წარმოუდგენია რაიმე ერთ
სიბრტყეში გამართული კლასიფიკაციური სქემა, რაც არც მისი თანამედროვეთათვის იყო
დამახასიათებელი. სამაგიეროდ მკვლევარის სხვადასხვა ნაშრომში გაბნეულია ამგვარ

ფორმათა ის ძირითადი სახასიათო ნიშნები, რომლებიც სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, როგორც სახელმძღვანელო ნიშნები.

მაგალითად, გრიგოლ ჩხიკვაძე წერს: `ამ კატეგორიის სიმღერებში [ფშაურ და თუშურ ორხმიან პრიმიტიულ] მესამე ხმა ან ბურდონულ ბანს წარმოადგენს, ან _ ერთ ხმაზე _ ტონიკაზე რეჩიტაციას...`

აქაც მკვლევარი მონიშნავს მრავალხმიანობის ფორმის მადეფინირებელ ორ მოვლენას: ბურდონულ ბანს და შემდგომში უკვე აღიარებულ ტერმინს _ `რეჩიტაციულ ბურდონს` გვ. 2

რეჩიტაციის კომპოზიციური მეთოდი სხვაგანაც მოექცა მკვლევარის სამეცნიერო ყურადღების არეში: `ამასთანავე ხევსურული სიმღერების უმრავლესობაში ტექსტის ჰანგთან შეერთების სილაბიური ხერხი სჭარბობს.` გვ. XIV ამ ფრაზაში ერთგვარი ალტერნატივა შეიძლება წავიკითხოთ ცნობილი ტერმინისა `კომპლექსური მრავალხმიანობა`, რომელიც, როგორც სტრიქონშორის იკითხება, აშკარად არ სარგებლობს გრიგოლ ჩხიკვაძის მოწონებით (და არც _ ჩემი, უნდა აღვნიშნო).

ოსტინატური მრავალხმიანობის გამოვლინებაც არც დარჩენია გრიგოლ ჩხიკვაძეს ყურადღების მიღმა: `მეორე შტო ძველი ორხმიანი სიმღერებისა, რომლებსაც ახასიათებთ ოსტინატური ბანი.` გვ. 3

მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი გრიგოლი ერთგულია ცნებისა `პოლიფონიური მრავალხმიანობა`, `პოლიფონიური სიმღერები`, რომელსაც გურულ, მეგრულ, იმერულ, აჭარულ სიმღერებს უსადაგებს, მკვლევარი ხმარობს მის პარალელურ ტერმინსაც: `კონტრასტული მრავალხმიანობა`, რომელმაც შემდგომში უფრო მკაფიო კონტურები შეიძინა და დღეს, შეიძლება ითქვას, უკვე ჩაანაცვლა ტერმინი `პოლიფონიური` კონკრეტული მრავალხმიანი სტრუქტურული სახის მინიშნებისას.

გრიგოლ ჩხიკვაძე სამეცნიერო ტერმინოლოგიის მიმართებით ზოგჯერ სხვა ინოვაციური წინადადებით გამოდის. მაგალითად, იგი გვთავაზობს ქართულ სიმღერაში სოლო ხმის პარტიის ორიგინალურ ქართულ დასახელებას: `მარტოხმას`. ... `იგი [ბანი] ასრულებს თანმდევი, მიმყოლი ხმის (აკომპანემენტი) და არა მარტოხმის (სოლო) როლს`. ქართული ხალხური სიმღერა გვ. XI

როგორც ადრე აღვნიშნეთ, გრიგოლ ჩხიკვაძის ნაშრომებში ყურადღებას იპყრობს დეტალური აღწერა სხვადასხვა მრავალხმიანი აღნაგობის მქონე სიმღერებისა. ამ მხრივ გამოირჩევა ბატონი გრიგოლის ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი: «Характерные черты грузинского многоголосия». აქ დახასიათებულია ის სიმღერები, რომლებიც მრავალხმიანობის ორიგინალური ფორმების მხრივ მკვლევარმა განსაკუთრებით სახასიათოდ მიიჩნია. ესენია: ფშაური `ქალო` (გვ. 20-29 `შავი შაში` გვ. 30-33, `ხასანბეგურა` გვ. 34-36, `კვირია` გვ. 37-38).

`ხასანბეგურას` აღწერისას აღინიშნება, რომ მონაწილეობს სრულიად განსხვავებული 5 ხმის პარტია. ეს ბატონ გრიგოლს აძლევს საბაბს, ამ ფაქტურას `ფარული ხუთხმიანობა` უწოდოს (გვ. 34). «Характерные черты грузинского многоголосия» ამგვარი სახელდება ამჟღავნებს ბატონი გრიგოლის სრულიად სამართლიან პოზიციას განსახილველ ნიმუშში ხმათა რაოდენობის შეფასებისას: მთავარია ფუნქციონალურად დამოუკიდებელი ხმათა რაოდენობა და არა _ კერძო შემთხვევაში ვერტიკალში ერთად მჟღერ ხმათა რაოდენობა.

მოხსენების დასასრულს უნდა ითქვას, რომ ჩვენი მიზანი ამჯერად არ ყოფილა ზოგიერთი იმ ცთომილების ასახვა, რომელიც გარდა ბ-ნი გრიგოლისა, მისი თანამედროვე მეცნიერთა შრომებშიც არც თუ იშვიათია. დარწმუნებული ვარ, ჩემსა და ჩემს თანამედროვეთა ნაშრომებში მომავალი თაობა კიდევ უფრო მეტ შეუსაბამობას აღმოაჩენს. ისეთი რთული აღნაგობის ფენომენის კვლევისას, როგორც ქართული ხალხური სიმღერაა, არის დანაკარგიც, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი პროგრესული შედეგია.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული მრავალხმიანობა გრიგოლ ჩხიკვაძისათვის ერთ-ერთ საინტერესო საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა, რომლის შესახებაც მან მრავალი საყურადღებო დებულება და მოსაზრება დაგვიტოვა.

თამაზ გაბისონია

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. გრიგოლ ჩხიკვაძე. ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა. საქართველოს სსრ მუსიკალური ფონდი. თბილისი 1948.
2. ქართული ხალხური სიმღერა. რედაქტორ-შემდგენელი _ გრ. ჩხიკვაძე. ტ. I სახელმწიფო გამომცემლობა `საბჭოთა საქართველო`, თბილისი 1960.
3. Г. З. Чхиквадзе. Основные типы грузинского народного многоголосья. «Наука». Москва, 1964
4. გრიგოლ ჩხიკვაძე. ქართული ხალხური ოთხხმიანობა, ხელნაწერი 1965-67
5. Г. Чхиквадзе. «Характерные черты грузинского многоголосия» ხელნაწერი 1976.
6. გრიგოლ ჩხიკვაძე. კრიმანჭული ქართულ ხალხურ სიმღერებში და მისი ნაირსახეობანი (ხელნაწერი. 1981-1982 წ.)

19.05.2011